

სკოპინგის დასკვნა N22

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მდინარე მულხურაზე 45 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „აი ჯი ენერჯი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 23.06.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ, წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მულხურაზე 45 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მულხურა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში, დაბა მესტიის, ლენჯერისა და ლატალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიებზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება - 45 მგვტ, ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით 150.6 გვტ-სთ ელექტროენერგიას. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: ძალური კვანძი, სადერივაციო გვირაბი და სათავე ნაგებობა, რომლის შემადგენლობაში იქნება: დაბალზღვრულიანი დამბა, გვერდითი ტიპის წყალმიმღები, სალექარი და თევზსავალი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის ინფრასტრუქტურა მოეწყობა მდ. მულხურას ხეობაში, ზღვის დონიდან 1361.75 და 1220 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-314310; Y-4767830 - სათავე კვანძი; X-0308492; Y-4765283 - ძალური კვანძი, სადერივაციო გვირაბის საწყისი და საბოლოო წერტილების მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია X-314167.48, Y-4767777.83, X-308537.14, Y-4765230.95. საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურიდან (სათავე კვანძი) უახლოესი დასახლებული პუნქტი (დაბა მესტია) მდებარეობს 25 მეტრის დაშორებით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა,

ჰესის ტიპისა და ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილმდებარეობების ალტერნატივები. ჰესის ტიპის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევისას (რეგულირებადი ჰესი, კალაპოტური ტიპის ჰესი, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ჰესი) გათვალისწინებულ იქნა საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და მიკროკლიმატზე ზემოქმედების საკითხები, რომლის შედეგად უპირატესობა მიენიჭა ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. სადერივაციო სისტემის (გვირაბი, ღია ან დახურული არხი, სადაწნეო მილსადენი) ტიპის შერჩევა მოხდა გარემოს არსებული მდგომარეობისა და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით და უპირატესობა მიენიჭა სადერივაციო გვირაბის მოწყობას. ჰესის ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზისა და ურთიერთშედეგების შედეგად (**პირველი ალტერნატიული ვარიანტი** - სადერივაციო-სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. მულხურას მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე; **მეორე ალტერნატიული ვარიანტი** - სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ფერდობზე 1361.75 და 1250 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე; **მესამე ალტერნატიული ვარიანტი** - სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ფერდობზე 1361.75 და 1220 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე) გათვალისწინებულ იქნა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და ეკონომიკური საკითხები. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, უპირატესობა მიენიჭა სადერივაციო-სადაწნეო სისტემის მდინარე მულხურას მარცხენა ფერდობზე განთავსების ალტერნატივას (მე-2 და მე-3 ალტერნატიული ვარიანტები), თუმცა სკოპინგის ანგარიშში კონკრეტული ალტერნატიული ვარიანტი არ არის დაზუსტებული. **გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იქნეს შერჩეული ალტერნატივის შესახებ ინფორმაცია, ასევე სათანადოდ უნდა დასაბუთდეს ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდ. მულხურაზე სათავე წყალმიმღები კვანძის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 1360 მ ნიშნულზე. წყალმიმღების შემადგენლობაში იქნება: დაბალზღურბლიანი (7.75 მ სიმაღლის მდინარის ტალვეგიდან) დამბა; პრაქტიკული პროფილის წყალსაგდები; გვერდითი ტიპის წყალმიმღები ნაგებობა (სიგანე 3 მ, ხოლო სიმაღლე 4.4 მ); სალექარი (0,2 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნაწილაკების დალექვისთვის, სიგრძით 70.5 მ, სიგანით - 41.5 მ), ფსკერული წყალგამშვები (გამრეცხი ფარი) და თევზსავალი, რომელიც აღჭურვილი იქნება 50 აუზით, თითოეულ აუზს შორის წყლის დონეთა სხვაობა იქნება 0,20 მ. მულხურა ჰესის კვეთისათვის, მდ. მულხურას საშუალო მრავალწლიური ხარჯია 21.9 მ³/წმ-ს, ეკოლოგიური ხარჯი იქნება - **2.2 მ³/წმ**. თევზსავალში გატარებული იქნება **0.15 მ³/წმ ხარჯი**. წყალმიმღებზე დაგეგმილია ელექტროიმპულსური ტიპის თევზამრიდი მოწყობილობის მოწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სათავე კვანძთან ჰესის მიერ შეგუბებული წყლის სარკის ზედაპირის ფართობი ნორმალური შეტბორვის პირობებში იქნება 1483 მ². დამბის ზედა ბიეფის მიმდებარე ფერდობების დატბორვის პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია დამცავი კედლების მოწყობა, რომელთა ზედა ნიშნულები იქნება ზღვის

დონიდან 1366,25 მ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სათავე ნაგებობიდან გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის გამოყენებით, კაშხლის ზღუდარსა და თევზსავალს შორის, გათვალისწინებულია 170 კვტ სიმძლავრის მცირე ზომის ეკოტურბინის დამონტაჟება, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტ რეჟიმში გატარებას. **გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ეკოტურბინის განთავსების პირობებისა და ტექნიკური პარამეტრების შესახებ.**

ჰესის წყალმიღებისა და სალექარის გავლის შემდეგ, მდინარიდან აღებული წყალი გადავა სადერივაციო გვირაბში, რომლის სიგრძე იქნება 6,796 მ. გვირაბი განთავსდება მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ქედის სიღრმეში. გვირაბიდან მიწის ზედაპირიდან დაცილების მაქსიმალური სიღრმე იქნება 293 მ, ხოლო მინიმალური 50 მ. გვირაბის შესასვლელი პორტალის ზღურბლი მდებარეობს ზღვის დონიდან 1355.2 მ ნიშნულზე, გამოსასვლელი პორტალის ნიშნულია - 1244.9 მ. წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, გვირაბის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-314167.48, Y-4767777.83, X-308537.14, Y-4765230.95. გვირაბი მოპირკეთებული იქნება ტორკრეტბეტონით და ბეტონით, ასევე გვირაბის საბოლოო წერტილში 400 მ სიგრძის მონაკვეთზე გათვალისწინებულია ფოლადით მოპირკეთება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გვირაბის გასაყვანად, განიხილება, ბურღვა-აფეთქების მეთოდის ან გვირაბგამყვანი მანქანის (TBM) გამოყენება. ბურღვა-აფეთქების მეთოდით გვირაბის გაყვანის შემთხვევაში, საჭირო იქნება სამშენებლო შტოლნის მოწყობა, რომლის სიგრძე იქნება დაახლოებით 650 მ. **გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია სადერივაციო გვირაბის გაყვანის მეთოდის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია. ამასთან, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული უნდა იქნეს გამათანაბრებელი ავზის მოწყობის საჭიროების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი პარამეტრების მითითებით და დასაბუთებით.**

სადერივაციო გვირაბიდან წყალი მიეწოდება ჰესის ძალურ კვანძს. ჰესის სააგრეგატო შენობას, მოეწყობა მდ. მულხურას მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1230 მ ნიშნულზე. (GPS კოორდინატები: X-0308492; Y-4765283). ჰესის შენობაში დამონტაჟდება 2 ერთეული ე.წ. „ფრენსისის“ ტიპის ძირითადი ტურბინა, 40.8 მგვტ (2x20.4 მგვტ / საპროექტო წყლის ხარჯი თითოეულ ტურბინაზე 16.5 მ³/წმ) ჯამური სიმძლავრით და მცირე ვერტიკალური ე.წ. „ფრენსისის“ ტიპის ტურბინა 4.25 მგვტ სიმძლავრით (საპროექტო წყლის ხარჯი 3,5 მ³/წმ). სამივე ტურბინის ჯამური სიმძლავრე იქნება 45 მგვტ. ჰესის მიერ გამომუშავებული წყლის მდ. მდინარეში ჩაშვება გათვალისწინებულია დაახლოებით 10 მ სიგრძის და 6 მ სიგანის გამყვანი არხის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის შენობის გვერდით გათვალისწინებულია 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა. ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროსისტემაში ჩართვისთვის განიხილება შემდეგი ვარიანტები: არსებულ 35 კვ გადაცემ ხაზში შეჭრა მულხურა ჰესის ძალური კვანძის მიმდებარედ და 110 კვ სისტემაზე მიერთება; 220 კვ

სისტემაზე მიერთება. სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ეგხ-ის გაყვანა შესაძლოა განხორციელდეს დამოუკიდებელი პროექტის სახით. **გზშ-ის ეტაპზე სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანის გადაწყვეტილება ან წარმოდგენილი იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და ა.შ.);**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის სამშენებლო სამუშაოებისთვის სატრანსპორტო კვანძად გამოყენებული იქნება ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა და მდ. მულხურაზე არსებული ხიდი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ძალურ კვანძამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება სოფ. ლახუშდის გზა, საიდანაც ძალური კვანძამდე საჭირო იქნება დაახლოებით 350-400 მ სიგრძის ახალი გზის მოწყობა, ასევე გზები მოეწყობა ჰესის შენობიდან საპროექტო სანაყარომდე და გვირაბის შტოლნამდე მისასვლელად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში მოსაწყობი გზების ჯამური სიგრძე იქნება 3.5 კმ. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია სატყეო გზების გამოყენება, რომელსაც ჩაუტარდება გაფართოების და რეკონსტრუქციის სამუშაოები. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მისასვლელი გზების შესახებ, სადაც ასახული და ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება არსებული, სარეაბილიტაციო და მოსაწყობი გზების დერეფნები.**

საპროექტო ჰესის სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 36 თვით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. N1 სამშენებლო ბანაკი მოეწყობა მდინარე მულხურას მარცხენა ნაპირზე, ძალური კვანძის მიმდებარედ (GPS კოორდინატები X-308118, Y-4764891; X-308129, Y-4764917; X-308140 Y-4764971). 17354 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე. N1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: ინერტული მასალებისთვის განკუთვნილი დახურული საწყობი; ავტოსადგომი ტექნიკის და დანადგარებისთვის განთავსების უბნით; დამხმარე სახელოსნოები (ხის და ლითონის); ბეტონის კვანძი; დიზელის საწვავის რეზერვუარი; საერთო საცხოვრებელი და საოფისე სივრცეები. N2 სამშენებლო ბანაკი მოეწყობა მდინარე მულხურას მარცხენა ნაპირზე, სათავე კვანძის მიმდებარედ (GPS კოორდინატები: X-314060, Y-4767813; X-314175 Y-4767850; X-314253, Y-4767834) 4689 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე. აღნიშნული სამშენებლო ბანაკის სიახლოვეს, დაახლოებით 40 მეტრში მდებარეობს საცხოვრებელი სახლი. ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სამშენებლო მასალების საწყობი, ტექნიკის სადგომი, დამხმარე საამქროები და პერსონალისთვის განკუთვნილი დასასვენებელი კონტეინერული ტიპის ნაგებობა.

სამშენებლო ბანაკებზე ტექნიკური დანიშნულების წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. მულხურადან, ხოლო სასმელი დანიშნულებით გამოყენებული იქნება ადგილობრივი წყაროების წყლები ან შემოტანილი იქნება ბუტილირებული წყალი. სამეურნეო ფეკალური

წყლების მართვის მიზნით გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოების მოწყობა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დეტალური ინფორმაცია წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ინფრასტრუქტურის ელექტროენერგიით მომარაგება გათვალისწინებულია სს „ენერგოპრო - ჯორჯიას“ 10კვ ქსელზე დაერთებით, სამშენებლო ობიექტების მიმდებარედ არსებულ 10 კვ ძაბვის ხაზზე, ხოლო გვირაბამყვანი მანქანის (გამოყენების შემთხვევაში) ელექტროენერგიით უზრუნველყოფა მოხდება გვირაბის საწყისი წერტილის (ძალური კვანძის საპროექტო მოედანი) მიმდებარედ არსებული სს „ენერგოპრო - ჯორჯიას“ 35კვ ძაბვის ქსელზე დაერთებით. 10 კვ ძაბვის ქსელზე დაერთებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 100-130 მ სიგრძის 10 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა, ხოლო 35 კვ ძაბვის ხაზე დაერთებისთვის დაგეგმილია დაახლოებით 240 მ სიგრძის 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების (მოწყობის შემთხვევაში) პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების (ძაბვა, გაბარიტები, ეგზ-ის ტიპი, სიგრძე და სხვ), ქსელთან დაერთების ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ, ასევე შეფასებული უნდა იქნეს ეგზ-ის გაყვანით გარემოზე კომპონენტებზე ზემოქმედება, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დროს გამონამუშევარი ფუჭი ქანების რაოდენობა იქნება დაახლოებით 216 912 მ³. ფუჭი ქანების განთავსებისთვის მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროზე შერჩეულია 3 ტერიტორია. ფუჭი ქანების ნაწილი, დაახლოებით 40% გამოყენებული იქნება უკუყრილებში. N1 სანაყაროს ფართობი იქნება 35,466 მ²-ს (GPS კოორდინატები: X-309716, Y-4765862; X-309773, Y-4765916; X-309848, Y-4765952). N2 სანაყაროს - 8238 მ² (GPS კოორდინატები: X-310241, Y-4765862; X-310308, Y-4766109; X-310281, Y-4766129), N3 სანაყაროს - 3969 მ² (GPS კოორდინატები: X-310697, Y-4766320; X-310707, Y-4766329; X-310738, Y-4766342). სამივე სანაყარო მდებარეობს ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში. გზშ-ის ანგარიშში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული ტერიტორიის საკმარისობა მასზე განსათავსებელი ფუჭი ქანების რაოდენობების გათვალისწინებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს სანაყაროების მდინარის ზემოქმედებისგან დასაცავად გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ფერდობებზე, სადაც დაგეგმილია ჰესის ინფრასტრუქტურის განთავსება, წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური

კვლევის შედეგების მიხედვით, იდენტიფიცირებულია გეოდინამიკური პროცესების მხრივ სენსიტიური უბნები, კერძოდ: გარკვეულ ადგილებში განვითარებულია სხვადასხვა სიმძლავრის მეწყრული პროცესები, ასევე, არსებობს თოვლის ზვავების, სიღრმითი და გვერდითი ეროზიისა და ღვარცოფული პროცესების წარმოქმნა/გააქტიურების რისკები. აღნიშნული მოვლენების/პროცესების პრევენციისა და შერბილების მიზნით, მოხდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: სენსიტიურ უბნებზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, ფერდების გამაგრება და სხვ. გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური, გეოდინამიკური და გეომორფოლოგიური პირობები, ასევე შესაბამისი კვლევების საფუძველზე, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებები და მათი ეფექტურობა. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს გვირაბის მოწყობის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შედეგად საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებაზე და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად წყლის გარემოზე და იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მდინარის დაბინძურებასთან და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებასთან. წარმოდგენილი ინფორმაციით, გზშ-ის ეტაპზე შემუშავებული იქნება შემარბილებელი ღონისძიებები წყლის გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალში და მის მიმდებარედ გავრცელებულია სხვადასხვა სახეობის ძუძუმწოვარები, მათ შორის საერთაშორისო და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები: ფოცხვერი (*Lynx lynx*), მურა დათვი (*Ursus arctos*), წავი (*Lutra lutra*) და სხვ. ასევე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) ათი ტიპის ჰაბიტატი. ასევე, საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ფრინველთა მნიშვნელოვან ადგილს (Important bird areas – IBA) „Svaneti GE012“. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ფლორაზე და ფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, საპროექტო ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, მთლიანი ფართობიდან (53492 კვ.მ shp-ფაილები) 41239 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, რისთვისაც საპროექტო დერეფანში ჩატარდება ხე-მცენარეული საფარის დეტალური კვლევა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, საჯარო განხილვების შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2023 წლის 20 ივლისს, 12:00 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში; 2023 წლის 20 ივლისს, 15:30 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტში, ლენჯერის პირველი საჯარო სკოლის შენობაში და 2023 წლის 21 ივლისს 11:00 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტში, ლატალის კულტურის სახლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, მესტიის მუნიციპალიტეტის, შპს „აი ჯი ენერჯის“, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე, დამსწრე პირთა მხრიდან, ძირითადად ყურადღება დაეთმო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად (განსაკუთრებით გვირაბის გაყვანის პროცესში) შესაძლო გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკებს, ჰესის სათავე ნაგებობიდან ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებებს, ასევე დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ ჰესის მშენებლობამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს სამკურნალო მჟავე წყლებზე, რომელიც მოსახლეობის მიერ გამოიყენება. გვირაბის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, შპს „აი ჯი ენერჯის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდება ასაფეთქებელი ნივთიერებების რაოდენობის რეგულირება და კონტროლი, რომ აფეთქებითმა სამუშაოებმა არ გამოიწვიოს ზედაპირული ვიბრაცია. ასევე, კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელებას დროებით ადგილი ექნება მშენებლობის ეტაპზე. რაც შეეხება სამკურნალო წყლებზე ზემოქმედებას, შპს „აი ჯი ენერჯის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მჟავე წყლებზე ზემოქმედების საკითხის განხილვას/გადაწყვეტას მოახდენდა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტისა და ადგილობრივი მცხოვრებლების უშუალო ჩართულობით. საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის

მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე კვანძი, სადერივაციო გვირაბი, ძალური კვანძი), სანაყაროების განთავსების, მისასვლელი გზების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
 - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების აღწერა, საქმიანობის განხორციელების ადგილის (მათ შორის, შეტბორვის შედეგად შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები) საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების

მითითებით, ჰიდროელექტროსადგურის ყველა შემადგენელი ობიექტის Shp ფაილები;

- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის სათავე და ძალური კვანძის საპირკვლები და თხემების ნიშნულები);
- ჰიდროელექტროსადგურის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი (მათ შორის სამშენებლო ბანაკები/მოედნები და სანაყაროები) და მანძილები დასახლებულ პუნქტებამდე;
- ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების მითითებით) და განმარტებითი ბარათი ჰესის შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღწერით და სქემატური ნახაზებით, ჰიდროელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- სათავე კვანძის სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სათავე კვანძის მშენებლობის ეტაპზე, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არილების სამუშაოების, მათ შორის აღნიშნული მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის (დროებითი სადერივაციო არხი, დროებითი დამბა და სხვ) შესახებ;
- ინფორმაცია სათავე კვანძის საანგარიშო დატვირთვის შესახებ, მათ შორის სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების მითითებით;
- სათავე კვანძზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის ინფორმაცია ნამატი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჰის მოწყობის საჭიროების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით);
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა დასაბუთდეს შერჩეული ტიპის თევზსავალის უპირატესობა სხვა სახის თევზსავალთან შედარებით. ასევე ანგარიშში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, სამშენებლო ნახაზებს, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს და თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაციას;

- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო სისტემის შესახებ, მათ შორის: სადერივაციო გვირაბის, პარამეტრების და ფიზიკური მახასიათებლების (დაზუსტებული სიგრძე, სიმაღლე და დიამეტრი) შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სადერივაციო გვირაბის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან სადერივაციო სისტემის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია გვირაბის გაყვანის შერჩეული მეთოდის შესახებ. ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს განხილული გვირაბის გაყვანის სამუშაოებისა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხები. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს გვირაბის სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი თანმიმდევრობისა და ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბის პორტალებთან დამაკავშირებელი მონაკვეთების/მისასვლელების მშენებლობის შესახებ, საპროექტო პარამეტრების, მშენებლობის გეგმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- ინფორმაცია გვირაბის კონსტრუქციის შესახებ და გვირაბის ჰიდროიზოლაციის მოწყობის შესახებ, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გვირაბის პორტალებისა, მათი მოწყობის გეგმისა და სამშენებლო შტოლნების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბის მოწყობა-ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნაჟური წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ნაჟური წყლების ორგანიზებულად შეკრებისა და მისი ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, საბოლოო ჩაშვების წერტილის მითითებით;
- გვირაბში წყალსარინი არხების/ღარების ან/და დრენაჟის მილების მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- გვირაბის გაყვანის პროცესში ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გვირაბის გაყვანის ფარგლებში ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისა და მათი გამოყენების პირობების შესახებ, მათ შორის ასაფეთქებელი ნივთიერებების დასაწყობების ადგილების და პირობების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია/გეგმა ბურღვა-აფეთქებების სამუშაოების განხორციელების სიხშირის და დღის მონაკვეთის შესახებ, ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების დროის შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით (სადერივაციო გვირაბი, მისასვლელი გზები და სხვ.) მდინარის, შენაკადებისა და ხევების გადაკვეთის შესახებ, შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით და სათანადო დასაბუთებით;

- დეტალური ინფორმაცია ჰესის შენობის/ძალური კვანძის შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ტურბინების დეტალური აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრისა და ეფექტურობის მითითებით (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია), ასევე ჰესის შენობაში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია.
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხის პარამეტრების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საჭიროების შესახებ - ნაგებობის ტიპების და ეფექტურობის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობების ტიპები, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბეტონის კვანძის შესახებ ინფორმაცია (მოწყობის შემთხვევაში) წარმადობის და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ქვესადგურის (მოწყობის შემთხვევაში) შესახებ, ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გენერირების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ეგხ-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტიპი, პარამეტრები, სქემატური ნახაზები, shp ფაილები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება (მოწყობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ეგხ-ის დამოუკიდებელი პროექტით გაყვანა, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული, თუ რატომ არის შეუძლებელი ეგხ-ის პროექტის განხილვა დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად გზშ-ის ანგარიშში;/
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შემთხვევაში მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობისა და წყალაღების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით;

- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ, გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები. გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაგებობის ტიპის, განთავსების ადგილის, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ, ასევე გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- ინფორმაცია ბეტონის კვანძიდან და ემისიების გამომწვევი სხვა წყაროებისგან (არსებობის შემთხვევაში) მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (მათ შორის აირგამწმენდი სისტემის გამოყენების შესახებ). აირგამწმენდების ტიპის, პარამეტრების, წარმადობის, ტექნოლოგიური სქემისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე), დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, გეგმა-გრაფიკისა და ვადების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ (ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია სანაყაროების ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით. დასაბუთებული უნდა იყოს სანაყარო(ებ)ს განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს სანაყაროების მდინარის ზემოქმედებისგან დასაცავად გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ. არსებული და მოსაწყობი მონაკვეთების შესახებ დეტალური ინფორმაცია (გზის ფიზიკური მახასიათებლების და მარშრუტის მითითებით), სქემატური ნახაზები და shp ფაილები (არსებული და საპროექტო გზების ასახვით); გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს გზების მოწყობასთან/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასება გარემოს კომპონენტებზე და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები;
- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნების შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნების დაზუსტებული ლოკაციები (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით) და

შერჩეული ტერიტორიის აღწერა, ამასთან დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის და მოედნების განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;

- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ბანაკ(ებ)ის ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის დროს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ბანაკებზე ელექტროენერგიის მიწოდებისთვის დაგეგმილია ეგბ-ის გაყვანა, წარმოდგენილი უნდა იქნეს უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების (მაბვა, გაბარიტები, ეგბ-ის ტიპი, სიგრძე და სხვ), ქსელთან დაერთების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ, ასევე შეფასებული უნდა იქნეს ეგბ-ის გაყვანით გარემოზე კომპონენტებზე ზემოქმედება, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე და მოედნებზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;

4.2 გზშ-ის ეტაპზე ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდინარის სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული მონაკვეთი) შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო არეალში, როგორც დამბის ზედა, ასევე მის ქვედა ბიეფში, მდ. მულხურას შენაკადების შესახებ, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- ინფორმაცია მდ. მულხურას და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: მდ.მულხურას და მისი შენაკადების საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- მდ. მულხურას აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯები. ინფორმაცია მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია წყალდიდობის რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძის ქვედა ბიეფში გასაშვები გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). ამასთან მოცემული უნდა იყოს ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობად მიღებული კოეფიციენტის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას,

მათ შორის წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს თევზსავალში გატარებული ხარჯის რაოდენობის საკმარისობისა და გატარებული ხარჯის კონტროლის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით;

- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია - საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს) დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების, ამასთან ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია წყალსაცავის დალამვის პროგნოზისა და მისი გარეცხვის რეჟიმების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლეების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში);

4.3 გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- **გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:**
 - რელიეფი (გეომორფოლოგია);
 - გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
 - სეისმური პირობები;
 - ჰიდროგეოლოგიური პირობები;
 - საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).
- **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:**
 - ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
 - საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
 - ფუჭი ქანების განთავსების ადგილების (სანაყაროები) და სამშენებლო ბანაკის მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა განსახილველად;
 - გზმ-ის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მდ. მულხურას და მისი შენაკადების დვარცოფულ ბუნებაზე და მათი საშიშროების შეფასებაზე ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმართ;

4.4 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით. (ე.წ ტყეკაფის უწყისი);
- ბიომრავალფეროვნების კუთხით ჩატარებული კვლევები მოიცავს მხოლოდ 2022 წლის ნოემბრის თვის კვლევის შედეგებს. გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად. ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, მათ შორის ფრინველებზე და ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იქნეს ჰესის ნაგებობების ტიპი და სადერივაციო სისტემის განლაგების ტერიტორია, შერჩევას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე;
- ვინაიდან ჰესის სამშენებლო სამუშაოები უშუალოდ მდინარის კალაპოტში იწარმოებს და ჩატარებული კვლევის თანახმად თევზის მოპოვება ვერ მოხერხდა, საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდეს დამატებითი იქთიოფაუნის კვლევა და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, მასზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ასევე მიღებული შედეგებზე დაყრდნობით განახლებული ინფორმაცია უნდა აისახოს მონიტორინგის გეგმაში;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით: ჰესის ოპერირების დაწყებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით. გზშ-ის ანგარიშში მონიტორინგის წარმოება უნდა განისაზღვროს სულ მცირე 5 წლამდე ვადით, ან დასაბუთებული უნდა იყოს 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი მონიტორინგის საკმარისობა;

- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკის, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე უნდა დაზუსტდეს ფუჭი ქანების სანაყაროსთვის გამოყოფილი ტერიტორიების რაოდენობა და მდებარეობა;
- საპროექტო ტერიტორია ემთხვევა ფრინველთა მნიშვნელოვან ადგილს (Important bird areas – IBA) „Svaneti GE012”, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ტერიტორიებისთვის იდენტიფიცირებულ დასაცავ სახეობებზე და აღნიშნული საკითხი უნდა აისახოს მონიტორინგის გეგმაში.

4.4.1 ბიომრავალფეროვნების ნაწილში გზშ-ის ანგარიშში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი უნდა იყოს მშენებლობის ეტაპზე სეზონური იქთიოლოგიური კვლევის შედეგები და შესაბამისი ანგარიში. კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რათა შემდგომში სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე;
- ჰესის ოპერირების დაწყებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს სეზონური იქთიოლოგიური კვლევა;
- გზშ-ის ანგარიშში ფონური მდგომარეობის ანალიზის ბიომრავალფეროვნების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე ჰაბიტატების მიმოხილვა (EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის შესაბამისად), რომლებზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს შემოთავაზებულმა პროექტმა. შედარებითი ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისათვის, ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო მონაკვეთში წლის ნებისმიერ პერიოდში მოსალოდნელია იზოლირებული ფორმა - *Salmo rizeensis*-ის გავრცელება, ხოლო ქვირილობის პერიოდში მოსალოდნელია შედარებით დიდი ზომის, გამსვლელი ფორმის ინდივიდების გავრცელებაც, რომლებიც *Salmo labrax*-ს წარმოადგენენ, აუცილებელია დაიგეგმოს მონიტორინგის სამუშაოების წარმოებისას შესაბამისი გენეტიკური კვლევები, რათა სრულად იქნეს იდენტიფიცირებული აღნიშნული სახეობების არსებობა და ასევე გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იყოს ერთ-ერთი საკომპენსაციო ღონისძიება - მდინარის დათევზიანება.

5. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე (მათ შორის სადერივაციო გვირაბის მშენებლობის პერიოდში), ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ადგილობრივ მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასება;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის, ყურადღება გამახვილდეს ბურღვა-აფეთქების დროს მოსალოდნელი ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებაზე და შესაძლო ზემოქმედების სახეებზე. **ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად შეფასებული უნდა იქნეს გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში შეფასებული უნდა იყოს ჰესის მიერ შექმნილი შეგუბების კონტურის სიახლოვეს მდებარე ტერიტორიებზე ზემოქმედება (მათ შორის გათვალისწინებული უნდა იყოს დაჭაობების რისკები), ეფექტური საინჟინრო და შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში

მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის ტურისტულად აქტიურ სეზონზე სატრანსპორტო ოპერაციების შეზღუდვის შესაძლებლობის საკითხები). **ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის ანალოგიური ობიექტები;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობის, სახიფათობის მახასიათებლების შესახებ მონაცემები და შემდგომი მართვის ღონისძიებები, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის **შემუშავებული, შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

	იანვ	თებ.	მარტ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოემ	დეკ	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი უნდა იყოს საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shp ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება: ინფრასტრუქტურული ობიექტები (სათავე ნაგებობა, სადერივაციო გვირაბი, ჰესის შენობა, სამშენებლო ბანაკები, მისასვლელი გზები, სანაყაროები);
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, წარმოდგენილი მთლიანი 53492 კვ.მ ფართობიდან (Shp-ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 41 239 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, მესტიის სატყეო უბნის მესტიის სატყეოში, კვარტალი N32, ლატალის სატყეოში, კვარტალი NN18;19;20;21;25. შერჩეული ალტერნატივების (I,II,III), მისასვლელი გზების, ხიდების, სამშენებლო ბანაკების (I,II), სანაყაროების (I; II;III) - საერთო ფართობია: 220 424 კვ.მ, საიდანაც სახელმწიფო ტყეშია: 95888 კვ.მ და მდებარეობს მესტიის სატყეო უბნის მესტიის სატყეოში, კვარტალი N32, ლატალის სატყეოში, კვარტალი NN18;19;20;21;25;27. როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის საპროექტო დერეფანში ჩატარდება მცენარეული საფარის დეტალური კვლევა (ტყის ტაქსაცია). განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით

სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, საქმიანობის განმახორციელებელმა (კანონმდებლობის შესაბამისად) გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ასევე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფუჭი ქანების სანაყაროების განთავსებას სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს სანაყაროების ადგილმდებარეობის შერჩევისას.

- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ცნობით, პროექტის განხორციელებისთვის განხილული 3 ალტერნატიული ტერიტორიიდან. N1 ალტერნატიული ტერიტორია, რომელიც მაღალი რისკ ფაქტორების გამო დაწუნებულ იქნა, მოიცავდა მდინარის მარჯვენა ნაპირს და გადიოდა დასახლებულ პუნქტებზე. მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ტერიტორიაზე (ლაშთხვერის, ქაშვეთის, სოლის, ლენჯერის). აღნიშნულ ტერიტორიაზე სადერივაციო-სადაწნეო სისტემას უნდა გაეგლო მიწის ქვეშ, რომლის დროსაც მოსალოდნელი იქნებოდა ვიბრაციით გამოწვეული პროცესების განვითარება, რაც გავლენას მოახდენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობაზეც, ამიტომ, სააგენტოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასევე მიზანშეუწონლად მიაჩნია ამ ალტერნატიული ვარიანტის არჩევა. რაც შეეხება N2 და N3 ალტერნატიულ ვარიანტებს, აღნიშნული ტერიტორიები არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონებში. თუმცა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოების შემსრულებლები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეაჩერონ სამუშაოები და აღმოჩენის შესახებ აცნობონ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.
- ჰიდროლოგიური სადგურების მონაცემების საიმედოობის შეფასებისათვის და ჩამონადენის მრავალწლიური რყევისა და საანგარიშო პერიოდის დასადგენად გამოყენებული უნდა იყოს შეთავსებული ნორმირებული ინტეგრალური მრუდები;
- მაღალმთიანი ჩამონადენის დაზუსტების მიზნით სასურველია მცინვარული აუზის (ჭალაათის მცინვარი) მონაცემების გამოყენება;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ჩამონადენის (მრავალწლიური, ექსტრემალური) სხვადასხვა უზრუნველყოფის ემპირიული და თეორიული მრუდები შესაბამისი ნდობის ინტერვალებით და გამოყენებული ჰიდროლოგიური დაკვირვებების რიგების სტატისტიკური მდგრადობის მაჩვენებლები;
- ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის გაანგარიშებისათვის არადამაჯერებელია მდ. ენგურის აუზის საშუალო წლიური ნალექების რუკის (ნახაზი 4.3.4.1.2) გამოყენება. აღნიშნულ რუკაზე კოდორისა და ეგრისის ქედების საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებზე წლიური ნალექების ჯამები 4200 მმ-ს აჭარბებს, რაც ნაკლებად

ალბათურია. არადამაჯერებელია აგრეთვე იზოპიეტების კონფიგურაცია (იზოპიეტები იკვრება მდინარეთა ხეობებში);

- სკოპინგის ანგარიშის ტექსტი გადატვირთულია ნახაზებით, ასევე ტექსტური ნაწილი რთულად აღსაქმელია და მოიცავს გაუგებარ ტერმინებს და წინადადებებს (მაგ: „საჭირო ხარჯი“, „ეკოლოგიური ხარჯის აგრეგატი“, „ისტორიული მყინვარის ხაზები“, „ნახევრად განაწილებული წყლის ბალანსის მოდელი“, „ჩამონადენი გამოიყოფა როგორც ზედაპირული, შუა და ფსკერული ნაკადი“, „ჰიდროლოგიური რეაგირების ერთეულების ჩამონადენი“, „ჰიდროლოგიური მოდელის ჰიდროლოგიური რეაგირების ერთეულები“ და სხვ). აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშის შედგენისას;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მოსაწყობი ინფრასტრუქტურის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ტურიზმის სექტორზე და რეგიონის ტურისტულ განვითარებაზე;
- გზშ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნეს განხილული მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მათ შორის საჯარო განხილვების დროს აღნიშნულ სამკურნალო და მჟავე წყლებზე) შეფასება, ეფექტური შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება - მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე მულხურაზე 45 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციას **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.